ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 426

"11" ივნისი 2008 წ.

ქ. თბილისში, დიდი დიღმის I მიკრორაიონში, ცენტრალური გზის მიმდებარედ, უბანი №1-ში მ'შენებარე მრავალფუნქციური შენობის პროექტის კორექტირებისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილების, ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს 2008 წლის 29 მაისის №06-08 ოქმისა და „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, დიდი დიღმის I მიკრორაიონში, ცენტრალური გზის მიმდებარედ, უბანი №1-ში მშენებარე მრავალფუნქციური შენობის პროექტის კორექტირებისათვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს კ2=4.7.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს "ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის და 122-ე მუხლისა და "ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსს მ. ავალიანს.

4. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. სარაჯიშვილის გამზირი №1ა), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა

ქ.თბილისში, მირიან მეფის ქ.№7 (ს/კ 01.10.06.014.045), იბა "დიდი დიღომი 2006"-ის შერეული ფუნქციის შენობის (საცხოვრებელი, კომერციული, ოფისები) ასაშენებლად სპეციალური ზონალური შეთანხმების მოსაკრებლის ანგარიში.

$\underline{L}(K_2^1-(K_2+20\%)S= n$

K_2

S=1679

L=34

K_2=4.0

K_2^1=4.7

4.0 * 20% =4.8

მომატებული კ2 პარამეტრი = 4.7

ვინადან მომატებული ქალაქგეგმარებითი პარამეტრი საშეღავათო 20 %-ზე ნაკლებია ობიექტს არ ეკუთვნის მოსაკრებლის გადახდა.